ოქმი:**ო08.37220691**

თარიღი:**10/03/2022**

ოქმი № 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2022 წელი, 25 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

11.00-12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ. ნიჟარაძე, ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, გ. ჩავლეშვილი, ალ. ბურჭულაძე, ბ. კილაძე, ლ. კილაძე, პ. კიღურაძე, ალ. ღლონტი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროგრამების თაობაზე სოფლის მეურნეობის სააგენტოს ინფორმაციის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

2. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237114635) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ.ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგში სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მნიშვნელობაზე, ვრცლად კონკრეტულ პროგრამებზე კი ისაუბრა თანამომხსენებელმა თ. კუპრაძემ, უპასუხა დასმულ შეკითხვებს. კომისიამ ცნობად მიიღო ინფორმაცია, ამასთან აღინიშნა, რომ კარგი იქნება თუ სააგენტო ადგილზე, სოფლებში მიაწოდებს მოსახლეობას ინფორმაციას ამ პროგრამებზე.

დ.ჭაკნელიძემ მეორე საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იგი იდგა ადმინისტრაციულ წარმოებაზე, წინადადებები არ შემოსულა, შეიძლება წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად. კომისიამ ამ მოსაზრებას მხარი დაუჭირა.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ”სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237114635)

საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ შეტანილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროგრამების თაობაზე სოფლის მეურნეობის სააგენტოს ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი